შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
კითხვარი კურსდამთავრებულთათვის

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა იმის გამოკვლევას თუ როგორ წარიმართა მათი საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა) და როგორ აფასებენ ისინი კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას.

გამოკითხვა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და მასში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 10-მა კურსდამთავრებულმა.

კვლევა კონფიდენციალური იყო და შესაძლებლობას აძლევდა გამოკითხულ კურსდამთავრებულებს გულწრფელად და მიუკერძოებლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი საკვლევი პრობლემატიკის ფარგლებში.

კითხვარი შედგებოდა ზოგადი ინფორმაციის ნაწილისგან და პროფესიული პროგრამების შემდგომი განვითარების საკითხთან დაკავშირებული შინაარსობრივი ნაწილისგან, რომელსაც უნდა გამოევლინა ის თუ რა როლი ითამაშა კოლეჯში მიღებულმა პროფესიულმა განათლებამ კურსდამთავრებულთა საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე.

კვლევის შეზღუდვები განისაზღვრა გამოკითხვაში მონაწილე კურსდამთავრებულების მცირე რიცხვით და იმით, რომ მათი უმრავლესობის მიერ არ იქნა გამოყენებული შესაძლებლობა ღიად გამოეთქვათ კრიტიკული მოსაზრებები და შენიშვნები კოლეჯში მათთვის გაწეული მომსახურების თაობაზე.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საკვლევი საკითხების ფარგლებში ხარვეზების გამოსავლენად და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კითხვარის **მე-4 დან მე-11** კითხვებზე გაცემული პასუხების ანლიზიდან ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევაში განმსასაზღვრელ ფაქტორად გამოკითხულები მიიჩნევენ საინტერესო პროფესიის დაუფლების (20 %) და დასაქმების რეალურ შესაძლებლობას (80 %), რასაც, კურსდამთავრებულთა აზრით, იძლევა ჩვენი აპროფესიული სასწავლებელი. ამასთან, კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილის მოლოდინებს შორის ყველაზე მაღალი იყო მოლოდინი მიეღოთ პროფესიული ცოდნა (70 %). გამოკითხულთა აზრით, ეს მოლოდინი მთლიანად გაამართლა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელსაც ანხორციელებს კოლეჯი (100 %). პასუხებიდან ირკვევა, აგრეთვე, რომ არცერთ გამოკითხულთაგანს პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე და გამოკითხვის პროცესში რომ დამდგარიყვნენ პროგრამის არჩევანის წინაშე, აირჩევდნენ იგივე პროფესიას (100 %).

4. გთხოვთ, დაასახელოთ ის ფაქტორები, რომელთაც გავლენა იქონიეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას.

საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	მშობლების/ ახლობლების რჩევა	დასაქმების რეალური შესაძლებლობა	პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის	პროფესიული პროგრამის/ სასწავლებლის პრესტიჟულობა	სხვა

			არარსებობა		
2 (20 %)		8 (80 %)			

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ?
(შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

მშობლების გან	სკოლის წარმომადგენლების აგან	მეგობრების, თანატოლებისა და/ან თანაკლასელები სგან	კოლეჯში ვიზიტის ას	ტელევიზი ის საშუალებ ით	სარეკლამ ო ბროშურებ ის საშუალებ ით	ინტერნეტ ის საშუალებ ით	სხვ ა
3 (30 %)	1 (10 %)	4 (40 %)	1 (10 %)			9 (90 %)	

6. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რა იყო თქვენი მოლოდინი პროგრამის კუთხით? (შესაძლებელია რამოდენიმე პასუხი შეარჩიოთ)

მივიღებდი პროფესიულ ცოდნას	მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას	გავიგებდი, სამომავლოდ სად შეიძლება ჩემი პროფესიით დავსაქმდე	გავიცნობდი მომავალ კოლეგებს	გავხდებოდი ჩემი საქმის პროფესიონალი	მოდულური /სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება დამეხმარებოდა დასაქმებაში	სხვა
7 (70 %)	1 (10 %)		4 (40 %)	2 (20 %)	1 (10 %)	

7. პროფესიულმა საგანმანათებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი მის მიმართ?

მთლიანად გაამართლა	ნაწილობრივ გაამართლა	არ გაამართლა (მიუთითეთ მიზეზი)
10 (100 %)		

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე?

დიახ	არა
	10 (100 %)

9. რა იყო მიზეზი, რის გამოც ფიქრობდით სწავლის შეწყვეტას?

დასაქმება	ოჯახური მდგომარეობა	დაბალი ხარისხის სწავლება	სხვა პროფესიით დაინტერესება	დროის სიმცირე	სხვა /მიზეზი/

10. ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?

დიახ	არა
10 (100 %)	

11. რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას?

აღნიშნული პროფესია დაბალანაზღაურებადია	აღნიშნული პროფესიით ვერ დავსაქმდი	სწავლის დაბალი ხარისხის გამო	აღარ მაინტერესებს ეს პროფესია	სხვა **/მიზეზი/**

მე-12 დან მე-14 კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზის შედეგები ცხადყოფენ, რომ რომ კურსდამთავრებულები პროგრამის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთა მიმართებაში

სწავლების ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევან, ვინაიდან გამოკითხულთა 100 % მიერ მონიშნულია სავარაუდო პასუხი „ძალიან კარგად“. კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას როგორც „ობიექტურს/სამართლიანს“ აფასებს გამოკითხულთა ასევე 100%. დადებითია, აგრეთვე, მოცემული პროგრამის ფაგლებში სწავლების ხარისხი პარტნიორ კომპანიაში. გამოკითხულთა პასუხები სავარაუდო პასუხებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა „ძალიან კარგად“ - 50%, „კარგად“ -50 %.

12. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში?

ძალიან კარგად	კარგად	დამაკმაყოფილებლად	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
10 (100 %)					

13. როგორ შეაფასებდით კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას?

ობიექტური/სამართლიანია	არაობიექტური/არასამართლიანია	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
10 (100 %)		

14. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს პარტნიორ კომპანიაში?

ძალიან კარგად	კარგად	დამაკმაყოფილებლად	ცუდად	ძალიან ცუდად	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
5 (50 %)	5 (50 %)				

მე-15 დან მე-19 კითხვებზე შემოხაზული სავარაუდო პასუხებიდან ირკვევა, რომ კურსდამთავრებულები ერთსულოვნად ეთანხმებიან კითხვარის დებულებას, რომ სასწავლებელში მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცული იყო, კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადებში უწევდა მათ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, ინფორმაციას აწვდიდა დასაქმების და შემდგომი განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამასთან, გამოკითხულთა 80 % აღნიშნავს, რომ სწავლი პერიოდში მათ ქონდატ საშუალება ემუშავათ ნახევარ (30 %) და სრულ განაკვეთზეც (50 %)კი.

15. კოლეჯში დაცული იყო თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები?

დიახ	არა	თუ თქვენ უპასუხეთ ,,არა“ გთხოვთ, დააკონკრეტოთ
10 (100 %)		

16. ღებულობდით კოლეჯისაგან სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?

დიახ	არა	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
10 (100 %)		

17. გიწევდათ კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას?

დიახ	არა	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
10 (100 %)		

18. ღებულობდით კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე სწორი პასუხი)

დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა საინფორმაციო დაფაზე	დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა ვებ-გვერდზე	კოლეჯს არ აქვს მსგავსი მომსახურების სერვისი	სხვა
1 (10 %)	9 (90 %)		

19. მუშაობდით თუ არა სწავლის პერიოდში?

დიახ, სრულ განაკვეთზე	დიახ, ნახევარ განაკვეთზე	დიახ, პერიოდულად (სეზონურად)	არ ვმუშაობდი
5 (50 %)	3 (30 %)		2 (20 %)

კვლევის მეორე ნაწილიდან, სადაც კითხვები კურსდამთავრებულთა მიმდინარე საქმიანობას ეხება, ირკვევა, რომ გამოკითხულთა 90% მუშაობს დაქირავებით და დასაქმებულია უპირატესად სახელმწიფო დაწესებულებებში (80 %). ამასთან, მათი საქმიანობა სრულადაა დაკავშირებული სასწავლებელში მიღებულ სპეციალობასთან.

გამოკითხულებს შორის 40 % აფიქსირებს, რომ სამსახური დაიწყო დამოუკიდებლად, 30%-მა - ახლობლების დახმარების მეშვეობით და 30%-მა კი შემოთავაზება სამსახურის დაწყების შესახებ მიიღო იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდით პრაქტიკას. სასიხარულოა, რომ გამოკითხულთა აზრით, კოლეჯში მიღებული კვალიფიკაცია და მათი სამუშაო ერთმანეთთან შესაბამისობაშია, და რომ ისინი კმაყოფილნი არიან სამსახურით.

20. პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ მუშაობა?

მუშაობა გავაგრძელე იქ, სადაც მანამდე ვმუშაობდი	დიახ, დავიწყე მუშაობა	არა, არ დამიწყია მუშაობა
5 (50 %)	5 (50 %)	

21. რას საქმიანობთ ამჟამად? (შესაძლებელია დააფიქსიროთ მაქსიმუმ ორი ძირითადი საქმიანობა)

მუშაობთ (დაქირავებით დასაქმებული)	ხართ თვითდასაქმებული	ხართ სტაჟიორი/შეგირდი	ხართ დაუსაქმებელი
9 (90 %)		1 (10 %)	

22. თუ ხართ დასაქმებული რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ?

კერძო დაწესებულებაში	სახელმწიფო დაწესებულებაში	სხვა ტიპის დაწესებულებაში (არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია, საერთაშორისო ორგანიზაცია ან სხვა);	ვარ თვითდასაქმებული	სხვა
2 (20 %)	8 (80 %)			

23. სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ვერსიები

სამსახური დაიწყეთ დამოუკიდებლად (მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტის, ტელევიზიის, გაზეთისა ან რადიოს მეშვეობით)	სამსახურის დაწყებაში დაგეხმარათ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები ან ოჯახის წევრები	სამსახური შემოგთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდით პრაქტიკას	სამსახური დაიწყეთ კოლეჯის დახმარებით	სხვა
4 (40 %)	3 (30 %)	3 (30 %)		

24. გთხოვთ, გვითხართ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ?

არ მაქვს ხელშეკრულება	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	უვადო	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
	4 (40 %)	3 (30 %)	3 (30 %)		

25. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური ხელფასი (ლარებში)?

300 არზე ნაკლები	301-დან 500 ლარამდე	501-დან 700 ლარამდე	701-დან 900 ლარამდე	901 ლარზე მეტი	უარი პასუხზე
	8 (80 %)	2 (20 %)			

26. დაკავშირებულია კოლეჯში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან?

დიახ	ნაწილობრივ	არა
10 (100 %)		

27. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას?

ჩემი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები	ჩემი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია	არასაკმარისი კვალიფიკაცია მაქვს	ჩემი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული ჩემს სამუშაოსთან
	10 (100 %)		

28. კმაყოფილი ხართ სამსახურით?

დიახ	არა	ნაწილობრივ
5 (50 %)		5 (50 %)

კითხვარის **დასკვნით ნაწილში** გამოკითხულთა გაცემული პასუხებიდან ირკვევა, რომ გამოკითხულთა შორის 50% -ს სურს უცხო ენის ცოდნის გაღრმავება, 10% კი თვლის, რომ საჭიროებს კომუნიკაციის უნარის განვითარებას. იმავდროულად, კითხვარის აღნიშნული ნაწილიდან ირკვევა, რომ გამოკითხულმა კურსდამთავრებულება პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გაიარეს დამატებითი ტრენინგები პროფესიასთან დაკავშირებით (80 %), თუმცა მიიჩნევენ, რომ რომ კოლეჯში მიღებული პროფესიული განათლება მთლიანობაში ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას (90 %).

29. ისურვებდით ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას?

უცხო ენის ცოდნა	კომუნიკაციის უნარი	კომპიუტერული პროგრამების ცოდნა	პროფესიული პრაქტიკული უნარები	პროფესიული თეორიული უნარები	წარმეობრივი უნარები
5 (50 %)	1 (10 %)				

30. პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გაირეთ დამატებითი ტრენინგები პროფესიასთან დაკავშირებით?

დიახ	არა

8 (80 %)	2 (20 %)

31. ახლა ჩამოგითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას?

ასპექტები	საჭიროებს გაუმჯობესებას	მეტნაკლებად საჭიროებს გაუმჯობესებას	არ საჭიროებს გაუმჯობესებას
დასაქმებაზე ზრუნვა		6 (60 %)	4 (40 %)
სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა		1 (10 %)	9 (90 %)
საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა		4 (40 %)	6 (60 %)
პრაქტიკული კომპონენტი			10 (100 %)
სწავლების ხარისხი		2 (20 %)	9 (90 %)
სწავლების მეთოდები		1 (10 %)	10 (100 %)
სწავლის შეფასების მეთოდები		3 (30 %)	6 (60 %)
პრაქტიკის ინსტრუქტორის კომპეტენცია		1 (10 %)	9 (90 %)
პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია			10 (100 %)

32. თქვენი აზრით, მთლიანობაში, კოლეჯში მიღებული განათლება უწყობს ხელს სამუშაოს დაწყებას?

დიახ, სრულად	ნაწილობრივ	არა
9 (90 %)	1 (10 %)	

34. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ.

1. კოლეჯს ვუსურვებ წარმატებებს, შემდგომ განვითარებას;
2. მინდა მადლობა გადავუხადო კოლეჯის ადმინისტრაციას და მთლიანად პედაგპგების გუნდს;
3. მადლობა კოლეჯს და პედაგოგებს გაწეული მუშაობისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

სამწუხაროდ, გამოკითხულებს კომენტარის სახით არ დაუფიქსირებიათ თავისი შენიშვნები და მოსაზრებები მოდულური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ, რისი შესაძლებლობაც მათ ქონდათ კითხვარის ფარგლებში. ღია კითხვაზე დაფიქსირებულ პასუხებში გამოკითხულებმა გამოხატეს მადლიერება კოლეჯის ადმინისტრაციის და პედაგოგების მიმართ სწავლების პროცესში მათთვის გაწეული მომსახურებისთვის და უსურვეს სასწავლებელს წარმატებები და შემდგომი განვითარება.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები მთლიანობაში მიიჩნევენ, რომ კოლეჯში მათ მიერ მიღებულ ცოდნისა და განვითარებული უნარ-ჩვევების ხარისხი იძლევა საფუძველს კომპეტენციის შესაბამისად დასაქმებისთვის და, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია მათ მხარდაჭერას უწევდა დასაქმების და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.